

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

საგანმანათლებლო პროექტი “პატარა ორმოები_სიცოცხლის გადასარჩენად“

ეკატერინე ძიგრაშვილი

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქუთაისის N2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის სერთიფიცირებული მასწავლებელი

რეზიუმე

ბოლო წლების სასკოლო ცხოვრების სიახლეებმა, ალბათ ბევრი პედაგოგი დააყენა პრობლემის წინაშე, რამდენად გამართლებულია პროექტებით სწავლება დაწყებით კლასებში. მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო როგორ იმუშავებდნენ დაწყებითი კლასის მოსწავლეები პროექტზე, იმსჯელებდნენ, გადაჭრიდნენ პრობლემებს, შექმნიდნენ აპლიკაციებსა და ჩანახატებს დამოუკიდებლად. პრაქტიკამ აჩვენა, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლისათვის რპოექტზე მუშაობა არა თუ სირთულეს წარმოადგენს, პირიქით საინტერესო და სასიამოვნოა. ისინი მთელი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ეკიდებიან და ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო პროექტი, კომპოსტი, ნემომპალა, მდგრადი განვითარება, საზოგადოებრივი ცნობიერება.

ცნობილია, რომ საგაკვეთილო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. მნიშვნელოვანია არა ის, თუ რის სწავლებას ცდილობს მასწავლებელი, არამედ ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ, როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება. ეს პროცესი განსაკუთრებით დაწყებით კლასებში უნდა იყოს სწორად ფორმირებული, რათა ზედა საფეხურებზეც საჭიროებისამერ შეძლოს მოსწავლემ მართებული გეზის არჩევა, მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფა, დასწავლა და ცხოვრებაში გამოყენება.

ჩემთვის, როგორც დაწყებითი კლასის პედაგოგისათვის ფრიად მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის სწორი გეზის მიცემა. მჭირდებოდა მეთოდური კომპეტენციების ამაღლება პროექტის სწავლების მიმართულებით, რათა მოკლე დროში პროექტის შესაბამისი სტრატეგიები მიზნობრივად და ეფექტურად გამოიყენებინა.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გავიარე ტრენინგების მოსმენის, შესაბამისი ლიტერატურის (ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“) მოძიებისა და გაცნობის კუთხით.

მოგეხსენებათ, დაწყებითი კლასის მოსწავლეები სწავლის პროცესში იყენებენ ინფორმაციის აღქმის ყველა საშუალებას. ეს შეიძლება იყოს სმენა, მხედველობა, შეხება, ყნოსვა, გემოვნება.

სასურველია მოსწავლეებმა თავად მოიძიონ ან თავადვე გახდნენ აქამდე მათთვის უცნობი საგნისა თუ ქმედების აღმომჩენნი.

ერთხელ, შუა შემოდგომაზე, როდესაც ბუნებისმეტყველების საგაკვეთილო თემა შემოდგომას ეხებოდა, სკოლის ეზოსთან მომხდარმა ფაქტმა გაააქტიურა მათი ყურადღება. მებალის მიერ ფოთლების დაწვამ, მისმა განსაკუთრებულმა სუნმა და ჰაერის დაბინძურებამ გამოიწვია მოსწავლეთა ინტერესი, გაკვირვება. ჩემთვის კი ეს ფაქტი ზედმიწევნით აქტუალურად იქცა ჯერ საგაკვეთილო პროცესთან თანხვედრის გამო და მეორეს მხრივ კი, საბაზი გახდა პრაქტიკაში განმეხორციელებინა პროექტი. ტრენინგზე მიღებული ცოდნა პრაქტიკული საქმიანობით კიდევ უფრო გამეღრმავებინა. ამავე დროს მათთვის მნიშვნელოვანმა უნარმა იწყო გაღვიძება. ეს — დაკვირვების უნარია.

პროექტის აქტუალობა;

ოცდამეერთე საუკუნეში, როცა გაზრდილია ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე ნეგატიური მიმართულებით და პარალელურადნიადაგმა დაკარგა ნაყოფიერების უნარი, მოიმატა ხელოვნური სასუქების გამოყენებითმა რაოდენობამ. სწორედ ამ დროს უმნიშვნელოვანესია მოსწავლე ახალგაზრდობამ მიიღოს ჯანსაღი რეკომენდაციები გარემოს მდგრადი განვითარებისათვის, კერძოდ, ბუნებრივი და ხელოვნური ნარჩენების კლასიფიცირება და მათგან ბუნებრივი ნარჩენების გამოყოფით ნეშომპალის მიღება.

მიწისა და მისი სარგებლიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნეშომპალას.

შემოდგომაზე ხეებს სცვივით ფოთლები. საზოგადოების მხრიდან არ ხდება მათზე მართებული ზემოქმედება. პარალელურად იზრდება მათზე არასწორი ზემოქმედება — ფოთლებს წვავენ. ბევრისათვის არ არის ცნობილი, რომ ის მიწის ბუნებრივი მასაზრდოებელია და არა ქიმიური.

განხორციელებული პროექტის შედეგად მოსწავლეები აიმაღლებენ ცნობიერებას ნიადაგის ნაყოფიერების, ბუნებრივი საშუალებებით გამდიდრების შესახებ და გახდებიან ბუნების აქტიური დამცველები. ეს ყოველივე კი დროული და უმნიშვნელოვანესია ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაში.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პროექტის სასწავლო მიზანი

მოსწავლეები მიიღებენ საჭირო ცოდნას შემოდგომის ფოთლების სარგებლიანობის და მათი გამოყენების შესახებ. გაიგებენ რომ ფოთლების წვა მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. განუვითარდებათ ბუნებაზე დაკვირვების, მიზეზ-შედეგობრიობის კავშირის დანახვის უნარი.

გავლენ ბუნებაში, მოაგროვებენ ფოთლებს, დააკვირდებიან მოგროვილ მცენარეებს. ფოთლებიდან გამოყონ ისეთებს რომლებიც გამოდგება აპლიკაციისთვის, ხოლო დანარჩენიდან თავად შექმნიან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს მიწის დასახმარებლად-კომპოსტს. მიღებულ ინფორმაციას გადასცემენ სხვებსაც, შეძლებენ მცირე ზომის ესეს დაწერას მოცემული თემის ირგვლივ და განახორციელებენ პრევენციულ ზომებს ბუნების დაცვასთან დაკავშირებით.

პროექტის მსვლელობის ფაზები:

პროექტის ინიციატივა

მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად გადაწყვიტეთ, როდის დაგვეწყო პროექტზე მუშაობა, რა აქტივობები და ამოცანები იყო განსახორციელებელი მიზნის მისაღწევად, რამდენი ხანი დასჭირდებოდა თითოეული აქტივობის შესრულებას, რა რესურსებია აუცილებელი და სად შეიძლებოდა მათი მოძიება, რისკ-ფაქტორების გათვალისწინება.

ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ თითოეულმა მოსწავლემ საკუთარი შესაძლებლობების შეფასება მოახდინა და სამუშაოც კონსტრუქციულად გადაინაწილეს. გაირკვა ვინ, როგორ, რას და რა ხნის განმავლობაში აკეთებდა. დასასრულს კი მივიღეთ პროექტის გეგმა.

დისკუსია პროექტის ირგვლივ

მოსწავლეებს ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით ვესაუბრე ნანახის შესახებ. განვუმარტე, თუ რატომ არის ფოთლების წვა არასწორი ზემოქმედება ბუნებაზე და თუ რამდენად მავნებელია ის ადამიანის ჯანმრთელობაზე. პარალელურად ავუხსენი და წავუკითხე (სტელან კარლსონი „კომპოსტირების სახელმძღვანელო მცენარეთა კულტივირებისათვის“ გვ: 2, 3.) თუ როგორ ამდიდრებენ შემოდგომის ფოთლები მიწას ბუნებრივი სახით და რა სხვაობაა ბუნებრივსა და ხელოვნურ მასაზრდოებლებს შორის.

დავათვალიერეთ ელექტრონული (<http://www.agro.ge/index.php?m=1081>)

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

წიგნი „ფერმერის ბიბლიოთეკა“ და წავუკითხე აღნიშნული წიგნის ქვეთავში _ბიომეურნეობა _ განთავსებული წიგნი „ორგანული სოფლის მეურნეობა“ გვ: 11 და 15. მოსმენილის ირგვლივ მოსწავლეებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი, ვიმსჯელეთ. შემდეგ კი მივეცი მიმართულება მოეძებნათ ინფორმაცია ან სურათები ფოთლების წვასა და ბუნებრივ კომპოსტთან დაკავშირებით. თავად კი მივაწოდე „ეკოვიზიის „ გადაცემა. <https://www.youtube.com/watch?v=X-oIKVbDRDw>

გადაცემის ყურადღებით გაცნობის შემდეგ კი საშუალება მივეცი გამოეთქვათ საკუთარი აზრი და შემოეთავაზებინათ მსგავსი პრობლემის (ეზოში ფოთლების წვა) გადაჭრის საკუთარი სტრატეგია. მათი აზრით ფოთლებისადმი სხვაგვარი მიდგომა, მიწის დანმარება უნდა საკუთარი სკოლის ეზოდან დავიწყოთ და დავსახეთ კიდევ შემდგომი ეტაპის სამოქმედო გეგმები (სკოლის დირექციასთან შეთანხმება, სკოლის ეზოს დათვალიერება, მებაღესთან შეხვედრა, უსაფრთხო ადგილის შერჩევა კომპოსტის დასამზადებლად).

დაგეგმილის განხორციელება

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებმა შეასრულეს ისტ რედაქტორში მიცემული დავალება “კეთილი ფოთლები“(PowerPoint). მიმდინარე პროცესებმა მოსწავლეთა უნარები მიმართა კრიტიკული აზროვნებისკენ. ახლი ისინი უკვე არა მარტო ვადებულების გამო, მთელი შეგნებით მოეკიდნენ სასარგებლო საქმეს__ სკოლის ეზოში კომპოსტის დამზადებას. პარალელურად მოგროვილი ფოთლებიდან ზოგიერთი მათგანი გამოყვეს და დააჰერბარეს აპლიკაციისათვის.

პროექტის დასასრულს

დაჰერბარებული ფოთებიდან რამდენიმე დღეში დაამზადეს აპლიკაციები და დამოუკიდებლად შექმნეს მცირე ზომის ესსე თემაზე „ცაში მოფარფატე ფოთოლი“. პროექტის დამთავრების შემდეგ ისინი დამოუკიდებლადც მიზანმიმართულად მოქმედებდნენ მსგავს სიტუაციებში.

პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეებს ვაძლევდი სამუშაოს გამომდინარე მათი საჭიროებებიდან. ჩვენს მიერ დასახულმა და შესრულებულმა სამუშაოებმა თუ დავალებებმა ხაზი გაუსვა, გამოკვეთა შემდეგ უნარების ერთიანობა:

1. დაკვირვება.
2. საინტერესო ინფორმაციის მოძიება, მიწოდება.
3. მიღებული ინფორმაციის გაგება, გააზრება, გამოყენება.
4. სხვათა ინფორმირება.

ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობათა ერთიანობამ კი სრულყო პროექტი, რომელსაც ასეთი სახელწოდება მივანიჭეთ „პატარა ორმოები __სიცოცხლის გადასარჩენად“.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ამ პროცესების მართვისას მათ უვითარდებათ დაკვირვების, ინფორმაციის მოპოვების, გაგება-გააზრების, მართვის, დამუშავების, შეფასების, ანალიზის, დამოუკიდებელი აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების, შემოქმედებითი უნარები. ამ უნარების განვითარება კი ცოდნის პრაქტიკაში თვისუფლად გამოყენების საწინდარია.

შედეგები:

თავად პროექტმა თითოეულ მათგანში ხელი შეუწყო თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემაზე ორიენტირების, ანალიზის, დაგეგმვის, გადაწყვეტილების მიღებისა და სხვა უნარების ჩამოყალიბებას.

მთელი პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეები ამჟღავნებდნენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს, ანგარიშს უწევდნენ ერთმანეთის მოსაზრებებს, კრიტიკულად აფასებდნენ შექმნილ სიტუაციებს, შეთანხმება ხდებოდა სამუშაოს ჩარჩოებზე შესაძლებლობებისა და ინტერესის გათვალისწინებით.

პროექტის შედეგად მოსწავლეებმა შეძლეს:

- დაკვირვება, დაინტერესება და შესაბამისად რეაგირება;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა აქტუალური საკითხისადმი;
- ნანახი რგოლის მიხედვით მსჯელობა და აზრის დასაბუთება;
- გასაუბრება კომპეტენტურ ადამიანთან და მისი რჩევის გათვალისწინება;
- დაკვირვება რისკ-ფაქტორების თავიდან ასაცილებლად;
- პროექტთან დაკავშირებული სამუშაოს გაგება-გააზრება და გამოყენება;
- ფოთლების დასუფთავება-დაჭერბარება და აპლიკაციების დამზადება;
- გარემოსადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- სხვათა ინფორმირება.

სამომავლოდ:

პროექტში განხორციელებული პრაქტიკული სამუშაოების შედეგად მოსწავლეებმა აიმაღლეს ცნობიერება ბუნებისა და ხელოვნური ნარჩენების შესახებ. დაინახეს აუცილებლობა და სარგებლიანობა ბუნებრივი ნედლეულისა, რომელიც უშუალო კავშირშია მათ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან.

პროექტი ორიენტირებულია არა მარტო განათლებაზე, არამედ ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაზე. რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სამოქალაქო და სოციალური ელემენტარული უნარებისა და ცნობიერების ჩამოყალიბებას. ისინი გარემოს პატარა დამცველები გახდნენ, რაც მკვეთრად აისახა მათ ქმედებაში. კერძოდ კი ბუნების

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პატარა ქომადგებად მოვევლინენ ქალაქს. პროექტმა მათ კიდევ სხვა თვალთ დაანახა გარემომცველი სამყარო და სიხარულით ჩაერთნენ პროექტში „ჩვენი პლანეტა... ჩვენი გარემო... ჩვენი პასუხისმგებლობა...“. ეს ის სკოლათაშორისი პროექტია, რომლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით პატარებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თავიანთი ქალაქის დაცვაში, დასუფთავებასა და განაშენიანებაში (მეგობრობის ხეივანის გაშენება ბუხაიძის ქუჩის ტერიტორიაზე). აქვე აღნიშნული პროექტის ფარგლებში ვესტმრეთ ორ საბავშვო ბაღს, სადაც მათზე უმცროსებს გადასცეს პროექტის მიმდინარეობისას მიღებული ცოდნა და გამოცდილება კომპოსტთან დაკავშირებით. ამ აქტივობებით გამოვლინდა რამდენიმე მოსწავლის განსაკუთრებული ნიშან-თვისება, რომლებიც კლასში ნაკლებად ჩანდა, მაგრამ ნათელი გახდა მათი ქცევა არაფორმალურ გარემოში (მოსწავლემ ლუკა გაგომიძემ საკუთარი ინიციატივით უფროსებისაგან დამოუკიდებლად ამოიღო საკუთარ ეზოში მიწა და შიგ ფოთლები მოათავსა _ „მასწავლებელმა ბუნების დაცვა და ჯანსაღი გარემოს შექმნა მე მასწავლაო“). ეს კი ჩემთვის ნამდვილი ინდიკატორია მაღალ აკადემიურ უნარებზე გასვლისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტელან კარლსონი „კომპოსტირების სახელმძღვანელო მცენარეთა კულტივირებისთვის“.
2. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
3. ელ. წიგნი _ ფერმერის ბიბლიოთეკა <http://www.agro.ge/index.php?m=1081>
4. <https://www.youtube.com/watch?v=X-oIKVbDRDw>